ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1597996

ნომერი: AR1252634

თარიღი : 23.09.2014

გაცემის თარიღი : 17.11.2014

გაცნობის თარიღი : 21.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 63 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ხონელიძე პ/ნ 60002019555
- ქუთაისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.03.2013 წ. #550547 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 23.09.2014 წ. #AR1252634 განცხადებით მომართა მოქ. თორნიკე ხონელიძემ და მოითხოვა 01.03.2013 წ. #550547 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 01.03.2013 წ. #01.19.21.003.019 (5010 კვ.მ)

საკადასტრო ერთეულზე სავაჭრო დანიშნულების შენობა–ნაგებობებისა და ფარდულის ასაშენებლად დამტკიცდა #550547 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1), ხოლო ამავე სამსახურის 06.03.2014 წ. #1156522 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 01.03.2013 წ. #550547 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, სავაჭრო დანიშნულების შენობა–ნაგებობების, ფარდულისა და საწყობის (სასაწყობე მეურნეობა) დაფიქსირებას. ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.2009 წ. #4–13 გადაწყვეტილების შესაბამისად, საკითხი განხილულ იქნა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიზე, რომელზედაც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, შესაბამისად სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.03.2013 წ. #550547 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: სავაჭრო დანიშნულების შენობა–ნაგებობები, ფარდული და საწყობი (სასაწყობე მეურნეობა);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.03.2013 წ. #550547 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს:
   - საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება – შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე, გამომდინარე აქედან მშენებლობის ნებართვის შემდგომ ეტაპზე დაცული ან ამოღებული უნდა იქნეს აღნიშნული ვალდებულება;
   - იმ შემთხვევაში თუ ობიექტები თავისი მახასიათებლებით მიეკუთვნება მე-V კლასს დაქვემდებარებულ ნაგებობას, მშენებლობის ნებართვის სამივე სტადიას გასცემს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №550547 01.03.2013წ. გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 06.03.2014 წ. #1156522 ბრძანებასთან ერთად;

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.